საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება №--

ქალაქი ---------- ---------- 20 ----- წელი

„ბანკი“

სააქციო საზოგადოება „ხალიკ ბანკი საქართველო“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205236537, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N74; საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზირების ფორმა - კომერციული ბანკი; საზედამხედველო ორგანო - საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: სანაპიროს ქ. N2, თბილისი, საქართველო), რომელსაც წარმოადგენს სახელი გვარი (პ/ნ 00000000000);

„კლიენტი“/“მსესხებელი“

სახელი გვარი (პ/ნ 0000000000, მისამართი: ----------)

„ბანკი“ და „კლიენტი“ ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ძირითადი პირობები

1.1 ამ ხელშეკრულებით ბანკი და კლიენტი თანხმდებიან კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებაში აღწერილი საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის წესსა და პირობებზე.

1.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი კლიენტს მოემსახურება შემდეგი საკრედიტო პროდუქტებით: საბანკო კრედიტით, საკრედიტო ხაზით, ოვერდრაფტით, საკრედიტო ლიმიტით (საკრედიტო ბარათით) და სხვა საკრედიტო პროდუქტებით.

1.3. ბანკი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალუტითა და ასევე სხვა ნებისმიერი ვალუტით გასცეს ამ ხელშეკრულებაში მითითებული საკრედიტო პროდუქტები, რომელთა ჯამურმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ამ ხელშეკრულების 1.4. პუნქტში მითითებულ თანხას ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში.

1.4. ხელშეკრულების თანხა: --- (---) **აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი სხვა ვალუტაში.**

1.5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: --- (--) **თვე, 00.00.00წ. – 00.00.00წ.**

1.6. საკრედიტო პროდუქტების წლიური საპროცენტო სარგებლის მაქსიმალური ოდენობა: **--%**.

2. კლიენტის განცხადებები

2.1 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ:

2.1.1 აქვს ამ და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა;

2.1.2 არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხეს უქმნის კლიენტის ვალდებულებების შესრულებას, კლიენტის ქონებას ან/და აქტივებს;

2.1.3 უარს არ იტყვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

2.1.4 ამ ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;

2.1.5 ბანკისთვის მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის სრული და უტყუარი;

2.1.6 მისთვის ცნობილია, რომ ბანკისათვის ყალბი ან/და არასწორი (სინამდვილესთან შეუსაბამო) ინფორმაციის/ცნობ(ებ)ის მიწოდება კრედიტის მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის ან/და შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება არის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამ ხელშეკრულების მოქმედების შესაწყვეტად;

2.1.7 დეტალურად იცნობს და მისთვის მისაღებია დაკრედიტების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტების) პირობები, რომელიც განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე **www.halykbank.ge**

3. საკრედიტო პროდუქტის მიღების წესი

3.1 ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი უფლებამოსილია, კლიენტს მოემსახუროს საკრედიტო პროდუქტებით ქვემოთ მოცემული წესებისა და პროცედურის დაცვით.

3.2 კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის მიღების სურვილს კლიენტი აფიქსირებს ბანკისთვის წერილობითი განაცხადის წარდგენით.

3.3 კლიენტის განაცხადის ანალიზის მიზნით ბანკმა შესაძლოა მოითხოვოს ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია კლიენტის შესახებ (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია საკრედიტო პროდუქტის მიზნობრიობის, კლიენტის საქმიანობის, კლიენტის პარტნიორებისა და სხვა დაკავშირებული პირების, ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის, უზრუნველყოფის ობიექტების შესახებ).

3.4 ბანკი უფლებამოსილია:

3.4.1 მიიღოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ მესამე პირებისგან კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე;

3.4.2 არ დააკმაყოფილოს კლიენტის განაცხადი საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ უარის მიზეზ(ებ)ის განმარტების გარეშე.

3.5 კლიენტის განაცხადის ბანკის მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარეები ამ ხელშეკრულების (ძირითადი ხელშეკრულების) ფარგლებში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას (შემდგომში

“დამატებით ხელშეკრულებას”), რომელიც იქნება ამ ხელშეკრულების (ძირითადი ხელშეკრულების) განუყოფელი ნაწილი და რომელშიც აისახება კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ინდივიდუალური პირობები და მხარეთა დამატებითი უფლება-მოვალეობები.

3.6 მხარეები თანხმდებიან რომ:

3.6.1 ეს ხელშეკრულება არის მხარეთა შორის გაფორმებული წინასწარი შეთანხმება საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებით;

3.6.2 ამ ხელშეკრულებას აქვს მის 1.1 პუნქტში აღწერილი ფუნქცია და ის არ იქნება განხილული, როგორც რომელიმე საკრედიტო პროდუქტით მომსახურების შეპირება ბანკის მიერ;

3.6.3 დამატებითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თითოეული საბანკო კრედიტი განიხილება განცალკევებულ საბანკო კრედიტად (სესხად);

3.6.4 ამ და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ბანკს წარმოეშობა მხოლოდ უფლება (და ის არ არის ვალდებული) გასცეს კრედიტი ან მოემსახუროს კლიენტს რომელიმე საკრედიტო პროდუქტით;

3.6.5 თითოეული ტრანშის (კრედიტის) გასაცემად საჭიროა შესაბამისი წინაპირობ(ებ)ის შესრულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მხარეთა (მათ წარმომადგენელთა) დამატებითი, სულ მცირე ზეპირი შეთანხმება.

3.7 ამ ხელშეკრულების 3.6 პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, ბანკს უფლება აქვს, არ გასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო პროდუქტები ან შეწყვიტოს საბანკო პროდუქტების გაცემა საკუთარი შეხედულებისამებრ კლიენტისთვის მიზეზის განმარტების გარეშე.

3.8 იმ შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების ან/და ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს/მსესხებლის სტატუსის მქონე პირს წარმოადგენს ერთზე მეტი პირი:

3.8.1 ასეთ თითოეულ პირზე სრულად გავრცელდება ამ ხელშეკრულებით/დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი პირობები და ვალდებულებები.

3.8.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე საკრედიტო პროდუქტების გაცემა/მომსახურების გაწევა ასეთ პირებზე შესაძლებელია მოხდეს როგორც ინდივიდუალურად ასევე ერთობლივად ან/და ცალკეული ჯგუფების მიხედვით;

3.8.3 თითოეული მსესხებელი წარმოადგენს ბანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ამ ხელშეკრულების, უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულებებზე;

3.8.4 თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება დამატებითი და/ან უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს მსესხებელი ამ ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს და მიუხედავად იმისა კონკრეტულად მან მიიღო თუ არა საკრედიტო პროდუქტი და/ან კონკრეტულად მას ჩაერიცხა თუ არა საკრედიტო პროდუქტის თანხა.

3.8.5 თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ამ ხელშეკრულების და/ან დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად ბანკის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

3.8.6 ერთ-ერთ მსესხებელან დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა მსესხებლების მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკის მიერ რომელიმე მსესხებლის მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა მსესხებლებზე და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

3.8.7 ერთ-ერთი მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების/დამატებით ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/ მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ მსესხებელს და მის მიმართ ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით/დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით, უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით;

3.8.8 ბანკის მიერ ერთ-ერთი მსესხებლისათვის გაგზავნილი ნებისმიერი სახის შეტყობინება ჩაითვლება ყველა მსესხებლისათვის გაგზავნილ შეტყობინებად, ხოლო ერთ–ერთი მსესხებლის მიერ შეტყობინების მიღება ყველა მსესხებლის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებად.

3.9 საკრედიტო პროდუქტის რამდენიმე მსესხებელზე გაცემის შემთხვევაში, საკრედიტო პროდუქტის/კრედიტის თანხა ბანკის შერჩევით ჩაირიცხება ერთ-ერთი მსესხებლის ანგარიშზე, ამ წესით გაცემული საკრედიტო პროდუქტი/კრედიტი ჩაითვლება ყველა მსესხებლის მიერ მიღებულად და ისინი წარმოადგენენ ბანკის წინაშე სოლიდარულ მოვალეებს. ერთ-ერთი მსეხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევა მიჩნეულ იქნება ყველა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევად და შესაბამისად ყველა მსესხებელზე სოლიდარულად გავრცელდება ამგვარი დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა.

4. საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის წინაპირობები და დამატებითი პირობები

4.1 ბანკს უფლება აქვს:

4.1.1 ცალკეული საკრედიტო პროდუქტის გაცემამდე კლიენტს განუსაზღვროს წინაპირობა საკრედიტო პროდუქტის გაცემისთვის და მოითხოვოს ამ წინაპირობის შესრულება;

4.1.2 საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების დაწყების შემდეგ კლიენტს წაუყენოს დამატებითი პირობები საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობისთვის (დამატებითი პირობები და მათი შესრულების ვადები განისაზღვრება დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და მათი დანართებით);

4.1.3 საკრედიტო პროდუქტის გაცემის შემდეგ კლიენტს წაუყენოს დამატებითი მოთხოვნა და ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში დააკმაყოფილოს ბანკის მიერ მისთვის წაყენებული მოთხოვნა.

4.2 რომელიმე წინაპირობის, დამატებითი პირობის ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება განახორციელოს ქვემოთ აღწერილი რომელიმე, რამდენიმე ან ყველა ქმედება:

4.2.1 არ გასცეს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი, შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს კლიენტის დაკრედიტება/მომსახურება;

4.2.2 ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 10%-ით (ამ პირობის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა დამატებითი შეთანხმებით) და აღნიშნულის თაობაზე შეატყობინოს კლიენტს ცვლილებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში; დარღვევის გამოსწორებიდან (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან მოთხოვნის შესრულებიდან) 60 (სამოცი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შემცირდება დარღვევამდე (წინაპირობის, დამატებითი პირობის ან ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობამდე) არსებულ ოდენობამდე;

4.2.3 მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

4.2.4 გამოიყენოს სანქციები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის მიერ, რაც არ გამორიცხავს ბანკისთვის ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლით მინიჭებული უფლებების განხორციელებას.

5. საპროცენტო სარგებლის განაკვეთი და მისი გადახდის წესი

5.1 თითოეული საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისთვის ბანკი კლიენტს უწესებს სარგებლის წლიურ განაკვეთს, რაც არის ამ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის საფასური.

5.2 კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით.

5.3 საპროცენტო სარგებელი ერიცხება კლიენტის ფაქტობრივ დავალიანებას ბანკის მიმართ და იანგარიშება პროდუქტით ფაქტობრივად სარგებლობის დღეების შესაბამისად 365 დღეზე გაანგარიშებით.

5.4 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების პირობებით შეიძლება დადგინდეს ფიქსირებული, ცვლადი და/ან ინდექსირებული და საპროცენტო განაკვეთი.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საკრედიტო ბაზარზე მნიშვნელოვნად შეიცვლება საპროცენტო განაკვეთების ოდენობა კრედიტით (სესხით) სარგებლობისთვის, კლიენტი უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს ბანკს განცხადებით ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისთვის დამატებითი ხელშეკრულებით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ.

5.7 ამ ხელშეკრულების 5.6 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში ბანკი ვალდებული იქნება, განიხილოს კლიენტის განცხადება და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტთან გააფორმოს შეთანხმება შესაბამის დამატებით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

5.8 იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთების ცვლილება არანაკლებ 5 პროცენტული პუნქტისა ან/და ბანკის საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ისე რომ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის ან/და საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი. აღნიშნულის შესახებ ბანკმა კლიენტს უნდა აცნობოს არანაკლებ ორი თვით ადრე შეტყობინების ფორმით.

5.9 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ დაეთანხმება ამ ხელშეკრულების 5.8 პუნქტის საფუძველზე ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის გაზრდას, იგი ვალდებული იქნება ბანკის შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში სრულად დაფაროს ბანკის მიერ მისთვის მიცემული ყველა საკრედიტო პროდუქტი. კლიენტის მიერ ამ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი განაკვეთის მიხედვით.

5.10 მხარეები თანხმდებიან, რომ დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო სარგებლის ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის (ასეთის არსებობის შემთხვევაში იგულისხმება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი, LIBOR-ის განაკვეთი, EURIBOR-ის განაკვეთი ან/და სხვა) გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს საჯარო ინდექსი, რომლის შესაბამისადაც მოხდება საპროცენტო სარგებლის ფორმირება ან დაადგინოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რის თაობაზეც შეატყობინებს კლიენტს ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით, საპროცენტო განკვეთის/ინდექსის ცვლილებამდე არანაკლებ 2(ორი) თვით ადრე.

5.10.1. დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო სარგებლის ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის ან/და შეჩერების შემთხვევაში:

ა) დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო სარგებელი ახალი საჯარო ინდექსით ფორმირებამდე და/ან ფიქსირებულ საპროცენტო განკვეთის დადგენამდე, განისაზღვრება არსებული საჯარო ინდექსის ოფიციალურად გამოქვეყნებული ბოლო მონაცემით.

ბ) ბანკის მიერ ახალი საჯარო ინდექსის განსაზღვრის შემთხვევაში, აღნიშნული ინდექსის გათვალისწინებით განისაზღვრება/შეიცვლება საპროცენტო სარგებლის ფორმირებისთვის დადგენილი საჯარო ინდექსის დანამატი საპროცენტო განაკვეთი.

5.10.2. ამასთან, დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო სარგებლის ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის ოფიციალურად გამოქვეყნების შეჩერების შემდგომ მისი ოფიციალურად გამოქვეყნების განახლების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია საპროცენტო სარგებლის ფორმირების მიზნით აღადგინოს არსებული საჯარო ინდექსი ან განაგრძოს საპროცენტო სარგებლის ფორმირება შესაბამისი საჯარო ინდექსით ან მის მიერ განსაზღვრული

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, რის თაობაზეც შეატყობინებს კლიენტს ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით.

6. ხარჯები, საკომისიოები, და სანქციები (პირგასამტეხლოები)

6.1 კლიენტი ვალდებულია აანაზღაუროს ამ ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა და ნებისმიერი ხარჯი.

6.2 გაწეული მომსახურების სანაცვლოდ კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო).

6.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს კლიენტს შემდეგი სახის საკომისიოების გადახდა:

6.3.1 საკომისიო საკრედიტო პროდუქტის გაცემისთვის;

6.3.2 საკომისიო საკრედიტო პროდუქტის პირობ(ებ)ის ცვლილებისთვის (კლიენტი იხდის საკრედიტო პროდუქტის პირობ(ებ)ის ცვლილებისთვის (რესტრუქტურიზაციისთვის, პროლონგაციისთვის და ა.შ.).

6.3.3 ბანკის მიერ დადგენილი სხვა სახის საკომისიოები.

6.4 საკომისიოს ოდენობა, გადახდის წესი და სხვა პირობები განისაზღვრება ბანკის მიერ (კლიენტთან დადებული დამატებითი ხელშეკრულებით ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით).

6.5 ამ ხელშეკრულებით ან/და დამატებითი ხელშეკრულებით ნასკირი ვალდებულების ჯეროვნად, დროულად ან/და სრულფასოვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს, ხოლო კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს შემდეგი სახის პირგასამტეხლოები:

6.5.1 პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის არის ფულადი თანხა, რომელსაც კლიენტი ბანკს უხდის ამ ან/და დამატებითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადებში ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის (თანხის გადაუხდელობის) შემთხვევაში;

6.5.2 პირგასამტეხლო საკრედიტო პროდუქტის არამიზნობრივად გამოყენებაზე.

6.5.3 პირგასამტეხლო საკრედიტო პროდუქტის ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვისთვის (განისაზღვრება ამ ხელშეკრულების 8.6. პუნქტის შესაბამისად. საკრედიტო პროდუქტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში პირგასამტეხლო დაერიცხება იმ თანხას, რომელიც აღემატება გრაფიკით განსაზღვრული პერიოდში გადასახდელ ოდენობას, მთელი საკრედიტო პროდუქტის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში პირგასამტეხლო დაერიცხება გადახდის მომენტისთვის საკრედიტო პროდუქტის დარჩენილ ოდენობას);

6.5.4 პირგასამტეხლო წინაპირობის ან/და დამატებითი პირობის დარღვევისათვის არის ფულადი თანხა, რომელსაც კლიენტი ბანკს უხდის დამატებითი ხელშეკრულებით დადგენილი რომელიმე წინაპირობის ან/და დამატებითი პირობის შეუსრულებლობისთვის.

6.5.5 ბანკის მიერ დადგენილი სხვა სახის პირგასამტეხლოები.

6.6 ბანკს უფლება აქვს დამატებით დააწესოს საკომისიოები ან/და პირგასამტეხლოები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით. აღნიშნულის შესახებ ბანკმა კლიენტს უნდა აცნობოს არანაკლებ ორი თვით ადრე შეტყობინების ფორმით.

6.7 პირგასამტეხლოს დაკისრება მხარეთა უფლებაა და არც ერთ მხარეს არ აქვს ცალსახა ვალდებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გადახდას დაექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც ექნება პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის უფლება მეორე მხარეს მოსთხოვს პირგასამტეხლოს გადახდას. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ძირითადი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ან/და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

6.8 ამ ხელშეკრულებით ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულ(ებ)ების შესრულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკის/გირავნობის საგნ(ებ)ის ან/და კლიენტის აქტივების რეალიზაციის ან/და რეალიზაციაში ხელშემშლელი გარემოებ(ებ)ის ლიკვიდაციის მიზნით ბანკს უფლება ექნება, კლიენტის ანგარიშზე ცალმხრივად დაუშვას ოვერდრაფტი ან/და გასცეს საბანკო კრედიტი, განსაზღვროს ოვერდრაფტის/საბანკო კრედიტის პირობები (მათ შორის საპროცენტო სარგებლის განაკვეთის ოდენობა, დაფარვის ვადა და გრაფიკი) და ოვერდრაფტის/საბანკო კრედიტის თანხა გამოიყენოს კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესასრულებლად, რაზეც კლიენტი თანხმობას აცხადებს ამ ხელშეკრულების ხელმოწერით.

6.9 ამ ხელშეკრულების 6.8 პუნქტით ბანკისთვის მინიჭებული უფლების განხორციელების შესახებ კლიენტს ეცნობება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

7. თანხის გადახდა

7.1 კლიენტის მიერ ბანკის მიმართ ვალდებულებ(ებ)ის შესრულება (დავალიანების დაფარვა), როგორც წესი, ხორციელდება ანგარიშებზე აკუმულირებული, საკრედიტო ხაზის, ოვერდაფტის ან/და საკრედიტო ლიმიტის სახით ხელმისაწვდომი სახსრებით.

7.2 ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერა ხდება კლიენტის დავალებით ან დავალების გარეშე, უაქცეპტო წესით, ამასთან კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკი არ არის ვალდებული კლიენტის დავალების გარეშე ჩამოწეროს თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან კლიენტის რომელიმე ვალდებულების შესრულების მიზნით.

7.3 ბანკს უფლება აქვს:

7.3.1 მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწეროს თანხა კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება

დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ექვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით;

7.3.2 კლიენტის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის, შსს მომსახურების სააგენტოსთვის ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადასახდელი მომსახურების საფასური ან/და კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახდელი (მათ შორის სადაზღვევო პრემია) კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) გადარიცხოს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან შესაბამისი პირის ანგარიშზე;

7.3.3 იმ პირისთვის თანხის გადახდის მიზნით, ვისგანაც კლიენტი ბანკის მიერ გაცემული კრედიტით შეიძენს ნივთს ან მიიღებს მომსახურებას, კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწეროს შესაბამისი თანხა, დააკონვერტიროს ეროვნულ ვალუტაში, ჩარიცხოს კლიენტის სალარე ანგარიშზე და გადარიცხოს შესაბამისი პირის ანგარიშზე.

7.4 კლიენტის მიერ კრედიტის დასაფარად ბანკისთვის გადაცემული ან კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხით პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საკომისიოებთან დაკავშირებული დავალიანება, შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. კლიენტი ბანკს უფლებას ანიჭებს:

7.4.1 ცალმხრივად შეცვალოს ამ ხელშეკრულების 7.4 პუნქტში მოცემული წესი

7.5 ერთდროულად ერთზე მეტი ვალდებულების არსებობისას, თუ კლიენტის მიერ არ მოხდება ამ ვალდებულებების დაფარვის რიგითობის არჩევა, ვალდებულებათა დაფარვის პრიორიტეტულობა განისაზღვრება შემდეგი წესით: პირველ რიგში დაიფარება არაუზრუნველყოფილი ვალდებულება(ები), მეორე რიგში - უფრო დიდი მოცულობის ვალდებულება(ები).

7.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტთან გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული რომელიმე გადახდის თარიღი დაემთხვა არასაბანკო დღეს, ამგვარი გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო საბანკო დღეს. ასეთ შემთხვევაში კლიენტის დავალიანებას არ დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის.

8. კრედიტის დაფარვა ვადაზე ადრე

8.1 საბანკო კრედიტის (სესხის), საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის, საკრედიტო ლიმიტის და კლიენტთან/მსესხებელთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში "კრედიტის") დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების ვადაზე ადრე განხორციელება (მათ შორის კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება ან/და რეფინანსირება) ან/და გაუქმება შესაძლებელია კლიენტის/მსესხებლის მიერ შესაბამისი წერილობითი განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემდეგ.

8.2 კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, თუ იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის 20%-ი, არანაკლებ 500 ლარის ოდენობით, კლიენტის/მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი სთავაზოს მას ახალი გრაფიკის გაფორმების მინიმუმ შემდეგ ალტერნატივებს: ა) ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე ყოველთვიური შენატანის შემცირების გზით; ბ) ყოველთვიური შენატანების იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირება. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი/მსესხებელი ვალდებულია მიუთითოს ახალი გრაფიკის ბანკის მიერ შემოთავაზებული რომელი ვარიანტის გაფორმება სურს მას.

8.3 კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემთხვევაში, კლიენტი/მსესხებელი ვალდებული იქნება წარუდგინოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იძლევა კრედიტის რეფინანსირების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას ან უარყოფს კრედიტის რეფინანსირების ფაქტს.

8.4 ბანკს უფლება ექნება კლიენტის/მსესხებლის განცხადების მიღების შემდეგ მოსთხოვოს კლიენტს/მსესხებელს კრედიტის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის მისთვის წარდგენა.

8.5 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის კრედიტის რეფინანსირებად ჩაითვლება სს „ხალიკ ბანკი საქართველოს" გარდა ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის (კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის ან/და სხვა პირის) მიერ გაცემული თანხით სს „ხალიკ ბანკი საქართველოს" მიღებული კრედიტის წინსწრებით (შეთანხმებულ ვადაზე ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით.

8.6 მხარეები თანხმდებიან, რომ:

8.6.1 ბანკის მიერ კლიენტისთვის/მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს შესაბამისი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო კლიენტის/მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან (იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით);

8.6.2 საკომისიოსა და პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება კლიენტთან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და ბანკის ინტერნეტ-გვერდზე **www.halykbank.ge** განთავსებული ინფორმაციის ან/და ბანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის მიხედვით;

8.6.3 კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე კრედიტ(ებ)ის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, ავტომატურად არ მოხდება ბანკის მიერ კლიენტზე გაცემული კრედიტ(ებ)ის წინსწრებით დაფარვა.

8.7 კლიენტის მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევის ან/და ამ ხელშეკრულების 12.1.1-12.1.20 ქვეპუნქტებში აღწერილი რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება კლიენტის თანხმობის გარეშე წინსწრებით დაფაროს შესაბამისი დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტი კლიენტის ანგარიშზე არსებული ან/და ხელმისაწვდომი თანხ(ებ)ის უაქცეპტო წესით

ჩამოწერის გზით. ბანკისთვის ამ პუნქტით მინიჭებული უფლების გამოყენების შემთხვევაში კლიენტი არ იქნება ვალდებული გადაიხადოს პირგასამტეხლო ან საკომისიო კრედიტის წინსწრებით დაფარვისთვის.

9. უზრუნველყოფა

9.1 ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილ ყველა ვალდებულებას.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის ობიექტი დაზიანდება, განადგურდება, დაკარგავს მატერიალური ფასეულობას ან შემცირდება მისი საბაზრო ღირებულება, ბანკს უფლება ექნება, კლიენტს მოსთხოვოს უზრუნველყოფის ობიექტის ალტერნატიული, ადექვატური ღირებულების ობიექტით ჩანაცვლება, ან საკრედიტო პროდუქტის შესაბამისი ნაწილის დაფარვა. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება, დაუყოვნებლივ შეასრულოს (დააკმაყოფილოს) ბანკის მოთხოვნა.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ან/და დაგირავებული ქონების (უზრუნველყოფის ობიექტების) რეალიზაციით მიღებული თანხა საკმარისი არ იქნება ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე წარმოშობილი ყველა ვალდებულების მთლიანად შესასრულებლად, კლიენტის ვალდებულებები ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ იპოთეკისა და გირავნობის საგნების რეალიზაციით მიღებული თანხ(ებ)ის ტოლი ოდენობით. ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია დანაკლისი თანხის (შეუსრულებელი ვალდებულების) გადახდა მოსთხოვოს კლიენტს.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ ბანკის (როგორც იპოთეკარის ან/და მოგირავნის) მიერ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულება იქნება უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობაზე ნაკლები ან თუ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარავად, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულების ან იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხის ტოლი ოდენობით. ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია დანაკლისი თანხის (შეუსრულებელი ვალდებულების) გადახდა მოსთხოვოს კლიენტს.

9.5 ამ ხელშეკრულების 9.4 პუნქტით დადგენილი წესი გამოიყენება ასევე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში იპოთეკისა და გირავნობის საგნ(ებ)ის რეალიზაციის შემთხვევაში, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი დატვირთული ნივთის ყიდვის ფასი იქნება ბანკის მოთხოვნაზე ნაკლები, დატვირთული ნივთის რეალიზაციით მიღებული თანხით ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბანკის მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო ბანკი უზრუნველყოფილ კრედიტორად.

9.6 ბანკის მოთხოვნ(ებ)ის დაკმაყოფილების/კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნით ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს აღსრულების მიქცევა კლიენტის ნებისმიერ ქონებაზე (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, მათ შორის ქონებაზე, რომელსაც მოვალე შეიძენს ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ) მიუხედავად იმისა უზრუნველყოფილია, თუ არა კლიენტის ვალდებულება (ბანკის მოთხოვნა) სანივთო უფლებით (იპოთეკით, გირავნობით).

9.7 იმ შემთხვევაში, თუ ბანკი უარს იტყვის იპოთეკაზე (მოთხოვნაზე უარის თქმის გარეშე) კლიენტი არ განთავისუფლდება იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებებისგან მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა მას თავის მხრივ იპოთეკიდან ანაზღაურების მიღება.

10. დაზღვევა

10.1 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების შემცველი სადაზღვევო პოლისის ბანკისთვის წარდგენა.

10.2 ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება:

10.2.1 დაზღვევა განახორციელოს ბანკისათვის მისაღები სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით, ამ კომპანიის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად;

10.2.2 დაზღვევა განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით;

10.2.3 მზღვეველს მოსთხოვოს სადაზღვევო პოლისში ბენეფიციარად ბანკის დასახელება;

10.2.4 თუ სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა ნაკლებია ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე, პოლისის მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს ბანკს განახლებული სადაზღვევო პოლისი.

10.3 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს თავად უზრუნველყოს კლიენტის ან/და მისი ქონების დაზღვევა ბანკისთვის მისაღები პირობების შესაბამისად და ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ბანკის მიერ შერჩეული სადაზღვევო კომპანიის მიერ დადგენილი ოდენობით.

10.4 კლიენტი თანახმაა და ბანკს უფლებას აძლევს, კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან ყოველთვიურად უაქცეპტო წესით ჩამოწეროს სადაზღვევო პრემიის თანხა და განახორციელოს ანგარიშსწორება სადაზღვევო კომპანიასთან. სავალუტო ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერის შემთხვევაში ეკვივალენტი განისაზღვრება თანხის ჩამოწერის დღისთვის ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

10.5 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში დავალიანება ჩაითვლება ვადაგადაცილებულად.

10.6 დაზღვევის პირობების არსებითი გაუარესების ან სადაზღვევო ტარიფების გაზრდის შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება წერილობით გამოხატოს სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების სურვილი. ბანკი ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების შესახებ ხელმძღვანელობს რა საკუთარი დაკრედიტების პრინციპებითა და წესებით.

11. ინფორმაცია კლიენტის შესახებ და მონიტორინგი

11.1 კლიენტი აცხადებს, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

11.2 კლიენტი თანხმობას აცხადებს და ანიჭებს ბანკს უფლებას, კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, მოიძიოს და დაამუშავოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და მიზნებისათვის სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ (ს/ნ 204470740) (შემდგომში - საკრედიტო ბიურო) მონაცემთა ბაზაში და კლიენტის პოზიტიური ან/და ნეგატიური ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გადასცეს საკრედიტო ბიუროს, რაც იწვევს კლიენტის აღრიცხვას საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში. საკრედიტო ბიუროსათვის გადასაცემი და მისგან მისაღები ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსური ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, პირის მიერ საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს.

11.3 კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):

11.3.1 მოითხოვოს და მიიღოს კლიენტის შესახებ ნებისმიერ პირთან თუ ადმინისტრაციულ ორგანოში (მათ შორის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოს/პირის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში) არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაცია (მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები);

11.3.2 სასამართლოს, არბიტრაჟს ან/და მესამე პირს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის საბანკო ანგარიშების, შესრულებული ოპერაციების, ანგარიშებზე არსებული ნაშთების, კლიენტის ვალდებულებების შესახებ მონაცემები) და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება;

11.3.3 ნებისმიერი საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შესახებ;

11.3.4 კლიენტის თავდებ(ებ)ს ან/და ნებისმიერ პირს, რომლის ქონებითაც უზრუნველყოფილია კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულება მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის მიმართ კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესახებ.

11.4 კლიენტი ბანკს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების 11.3 პუნქტის საფუძველზე მიღებული/გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან და აცხადებს უარს ზემოხსენებულ პუნქტში აღწერილი ინფორმაციის ბანკის მიერ გამჟღავნებით ან მესამე პირისთვის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

11.5 კლიენტი ვალდებულია:

11.5.1 ბანკის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მას მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტ(ებ)ი;

11.5.2 შექმნას საკრედიტო პროდუქტების მიზნობრივად გამოყენების კონტროლისა და ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობები, კლიენტის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების ამსახველი საბუთების რეგულარული გაცნობის და მისი შენობა-ნაგებობებში თავისუფალი შესვლის, სათავსოებისა და მოწყობილობების დათვალიერების და შემოწმების საშუალება (შემოწმების პერიოდულობა და რაოდენობა განისაზღვრება ბანკის მიერ კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე).

11.5.3 დაუყოვნებლივ შეასრულოს ბანკის მიერ მისთვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარდგენილი ნებისმიერი მოთხოვნა;

12. საკრედიტო ურთიერთობის ან/და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები

12.1 ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში თუ დადგება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გარემოება:

12.1.1 კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ნებისმიერ დამატებითი ხელშეკრულებით ან ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას;

12.1.2 კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებისთვის თანდართული გრაფიკის მიხედვით თანხის გადახდის ვალდებულებას;

12.1.3 არ შესრულდება (დაირღვევა) რომელიმე წინაპირობა, დამატებითი პირობა ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნა;

12.1.4 კლიენტი იკისრებს ნებისმიერ ვალდებულებას ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

12.1.5 კლიენტი არამიზნობრივად გამოიყენებს რომელიმე დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ საკრედიტო პროდუქტს (დაარღვევს მიზნობრიობას);

12.1.6 მნიშვნელოვნად შემცირდება კლიენტის კაპიტალი;

12.1.7 განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილება კლიენტის საკუთრებაში ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

12.1.8 მოხდება ნებისმიერი ცვლილება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის დამფუძნებლებში, მენეჯმენტში ან აღმასრულებელ/სამეთვალყურეო ორგანოში ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

12.1.9 კლიენტის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი (ოცი პროცენტი ან მეტი) გასხვისდება ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

12.1.10 გაუარესდება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და თავდების ქონებრივი ან/და ფინანსური მდგომარეობა ან შეიქმნება ასეთი გარემოების დადგომის საფრთხე;

12.1.11 ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარე ან მისი უფლებამონაცვლე დაარღვევს შესაბამისი ხელშეკრულების რომელიმე პირობას;

12.1.12 განადგურდება, დაზიანდება ან/და ღირებულება შეუმცირდება ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის ობიექტ(ებ)ს, რისთვისაც ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა;

12.1.13 კლიენტის მიმართ დაიწყება სააღსრულებო წარმოება;

12.1.14 კლიენტის რომელიმე საბანკო ანგარიშს ან კლიენტის კუთვნილ ქონებას (ნებისმიერ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს) დაედება ყადაღა ან კლიენტის ან მისი ქონების მიმართ გამოყენებული იქნება სარჩელის, გადაწყვეტილების აღსრულების ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება;

12.1.15 რაიმე უფლებით, ვალდებულებით ან/და შეზღუდვით (მათ შორის საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებით, ყადაღით და სხვა) დაიტვირთება ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ან/და კლიენტის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;

12.1.16 კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და თავდების მიმართ დადგება ლიკვიდაციის ან გადახდისუუნაროდ გამოცხადების საფრთხე ან თუ ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან რომელიმე თავად მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ;

12.1.17 ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს კლიენტს ნებისმიერ აქტივს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს ასეთი აქტივის ნაციონალიზაციას ან მოხდება სხვაგვარი ექსპროპრიაცია;

12.1.18 კლიენტის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან/და ბანკისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი ან მცდარი (სინამდვილესთან შეუსაბამო);

12.1.19 კლიენტი ჩაიდენს ბანკის მოტყუებისკენ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას;

12.1.20 დადგება ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომლის არსებობამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კლიენტის, მისი თავდების ან/და ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება ან კლიენტის მიერ თანხის დროულად გადახდა.

12.2 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამ ხელშეკრულების 12.1.1-12.1.20 ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შესახებ.

12.3 ამ ხელშეკრულების 12.1 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში (მიუხედავად კლიენტის ბრალისა ამ ხელშეკრულების 12.1 პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომაში) კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ (ან ბანკის მიერ მითითებულ ვადაში) დაუბრუნოს ბანკს კრედიტის ძირითადი თანხა მისთვის დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეასრულოს ბანკის წინაშე ნაკისრი ყველა ფინანსური ვალდებულება.

12.4 საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს კლიენტს.

13. სხვა პირობები

13.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

13.2 კლიენტს არ აქვს ამ ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული ყველა დოკუმენტით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.

13.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა). ნებისმიერი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება: შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაეცემა პირადად ან საკურიერო მომსახურების მეშვეობით - მიღების დღეს, უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული შესაბამისი მონიშვნით; შეტყობინებებისათვის, რომლებიც გაგზავნილია შეკვეთილი წერილით - გაგზავნიდან მესამე კალენდარული დღე (საფოსტო ორგანიზაციის მიერ გაგზავნისას გაცემული დოკუმენტის თარიღის მიხედვით); შეტყობინებებისათვის, რომლებიც გაგზავნილია ელექტრონული ფოსტით-შეტყობინების გაგზავნის დღეს; შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაცემულია მობილური ან სხვა სატელეფონო კავშირის მეშვეობით (ხმოვანი შეტყობინებებისათვის) - ზარის განხორციელების დღეს; შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაცემულია მობილური კავშირის მეშვეობით (მოკლე ტექსტური შეტყობინებებისათვის) - მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის დღეს.

13.4 მხარეები თანხმდებიან წინასწარი შეტყობინების ვალდებულების გაუქმებაზე, თუ ამ ხელშეკრულების/ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ.

13.5 მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია ბანკის, მისი ფილიალების მისამართები.

13.6 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.7 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საერთო სასამართლოები და ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად.

13.8 მხარეები თანხმებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

13.9 ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.

13.10 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

13.11 კლიენტის მომსახურების პირობები უფრო დეტალურად არის აღწერილი ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში (მათ შორის ბუკლეტები, ბროშურები, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა). საინფორმაციო მასალაში მოცემულ ინფორმაციასა და ამ ხელშეკრულების შინაარსს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება ამ ხელშეკრულების დებულებები.

13.12 ბანკს უფლება აქვს მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე ან/და ასეთ დოკუმენტ(ებ)თან დაკავშირებით წარმოშობილი ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების გზით.

13.13 კლიენტს არ აქვს ამ ხელშეკრულებით ან/და ამ ხელშეკრულების საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების ან/და ვალდებულების მესამე პირისთვის გადაცემის უფლება ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.14 კლიენტი უფლებამოსილია წარადგინოს ამ ხელშეკრულებასთან ან/და მის ფარგლებში გაფორმებულ დამატებით ხელშეკრულებებთან დაკავშირებული პრეტენზიები ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან ბანკის (სათაო ოფისის) კანცელარიაში **ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.** წარდგენილი პრეტენზიის განხილვისა და წერილობითი პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 10 (ათი) დღეს. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე **www. halykbank.ge.**

13.15 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბანკს, ერთი გადაეცემა კლიენტს.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ და ხელმოწერები:

ბანკი	**კლიენტი/მსესხებელი**
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	----------
ს/კ 205236537	პ/ნ:0000000000
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №74	მისამართი: ----------
	ელ.ფოსტის მისამართი: ----------
ტელ: (+995 32) 2 24 07 07	ტელ:----------

_____ _____